

საზოგადოების მიერ აქციების გამოსყიდვა
(შედარებითსამართლებრივი კვლევა დელავერისა და საქართველოს
საკორპორაციო სამართლის მაგალითზე)

დავით კაკოიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი, ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება აქციონერის ერთ-ერთ ფუნდამენტურ - საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას და მისი მიზანია აღნიშნული უფლების შესახებ დელავერის შტატსა და საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის, სასამართლო პრაქტიკის და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და ქართული საკორპორაციო სამართლისთვის დასახელებული საკითხის შემდგომი სრულყოფისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ნაშრომში დეტალურად არის მიმოხილული დელავერის შტატში არსებული რეგულაციები და განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებული ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის განმარტებებსა და პრობლემატურ საკითხებზე.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი დაყოფილია შვიდ ნაწილად, რომელთაგანაც პირველი და ბოლო ნაწილები წარმოადგენენ შესავალსა და დასკვნას. მეორე თავში მიმოხილულია აქციების გამოსყიდვის უფლება ზოგად კონტექსტში. აღნიშნული თავის ფარგლებში საუბარია უფლების როლსა და მიზანზე, განხილულია თუ ვის აქვს აღნიშნული უფლება და შესაძლებელია თუ არა ამ უფლების გაუქმება. მესამე ნაწილი ეთმობა გამოსყიდვის უფლების წარმოშობის შემთხვევების აღწერას. მეოთხე ნაწილში კი განხილულია უფლების განხორციელების პროცედურები. აღნიშნულ თავში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქციათა ფასის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და სტანდარტების წარმოდგენას. მომდევნო ორი ნაწილი კი ეთმობა საზოგადოების შესაგებლების, ე.წ. „დამცავი წესების“ და უფლების მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გამოკვლევას. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ მითითებული საკითხის განხილვისას გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი.

ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოჩენილია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის უფლებას, როგორც აქციონერებისთვის, ისე თავად საზოგადოებისთვის და როგორ უნდა იქნას გადაჭრილი სამართლებრივად პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უფლების განხორციელებასთან.

საკვანძო სიტყვები: გამოსყიდვის უფლება, უმცირესობაში მყოფი აქციონერი, დომინანტი აქციონერი, „პროტესტანტი“ აქციონერი, შერწყმა, გაერთიანება, რეორგანიზაცია, არსებითი ცვლილება, აქცია, სამართლიანი ფასი, საბაზრო ფასი, ზიანის ანაზღაურება, შეფასების დღე, აქციონერთა საერთო კრება.

Abstract

This paper addresses one of the most important rights of the shareholder – the appraisal right. It aims to examine regulations, case law and works related to this right in the legal systems of Georgia and Delaware, United States of America and to prepare recommendations which will help improve this issue in Georgia. Based on the conducted analysis, the paper provides a detailed overview of the appraisal right regulations under the Delaware corporate law. Additionally, great deal of attention is focused on the interpretation of legal provisions, court case law and the problematic issues regarding the appraisal right in the Georgian legislation.

This work is divided into 7 parts. The first and the last parts serve as an introduction and conclusion, respectively. The second part overviews the appraisal right in general context and discusses the goal and the role of this right. It also explains who is granted the right of appraisal and whether this right can be denied. The third part describes the appraisal-triggering events while the forth part discusses the proceedings of exercising appraisal right. In this part particular attention is drawn to the standards and methodologies determining the value of the shares. The next two parts address the exceptional rules and compensation right in case of illegal implementation of the right. It is notable that all of these issues are examined using the comparative analysis.

As a result of the conducted research it is shown how important the appraisal right is not only for the shareholder, but also for the corporation and how it can solve problems connected to the exercise of the right.

Key words: Appraisal right, minority shareholder, majority shareholder, dissenting shareholder, merger, consolidation, fundamental change, stock, fair value, market value, compensation, effective date of appraisal, shareholder meeting.

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით კაკოიშვილი

21 ივნისი, 2016 წ.